თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3794983

ნომერი: AR1571205

თარიღი : 18.01.2018

გაცემის თარიღი : 26.01.2018

გაცნობის თარიღი : 29.01.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ორხევი , ქუჩა ახვლედიანი , N 3 , (ნაკვეთი N1/26) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ხაბეიშვილი პ/ნ 01024015959
- თბილისი ილორის ქ. N 25 ბ. 4

ორგანიზაცია:

- სს ექსპრეს ქსელი კოდი: 400211864

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1 ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე-18 მუხლის მე-10 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის მიხედვით: სარეცხის საშრობი-გასაფენი, გათბობის, კონდიცირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/დანადგარები უნდა განთავსდნენ შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ სათავსებში. მათი არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია მათი განთავსება ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე, ერთიანი, მოწესრიგებული სახით. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი შემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ-მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა. დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგარების განთავსება ქუჩის მხარე ფასადზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია კონდიციონერის აგრეგატის ქუჩიდან აღქმად ფასადზე განთავსება, საჭიროა დაკორექტირდეს ფოტომონტაჟი და კონდეციონერი განთავსდეს ალტერნატიულ ადგილას შენობის ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილზე და შეინიღბოს შენობის ფასადთან მისადაგებული დეკორატიული ელემენტებით(ჟალუზი, ეკრანი და სხვა). წინააღმდეგ შემთხვევაში დაკორექტირდეს პროექტი და ამოღებულ იქნას კონდიციონერის მოწყობის სამუშაოები.

2. ვინაიდან სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს მოსარგებლეს, წარმოსადგენია სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სათანადოდ დამოწმებული ხელშეკრულება) ან მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. გაითვალისწინეთ, რომ "საჯარო რეესტრის შესახებ" კანონის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.